

სს „საქართველოს რკინიგზა“ აცხადებს ელექტრონულ აუქციონს

სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული, არამუშა ფარეხის, 467 ერთეული სხვადასხვა სახეობის სატვირთო ვაგონის რეალიზების მიზნით

1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები:

- ქონების მისამართი- საქართველო;
- სარეალიზაციო ვაგონების რაოდენობა 467 ერთეული
- ქონების საწყისი ღირებულება - 5 708 758 ლარი (დღგს-ჩათვლით).
- ”ბიჯი” 53 722 ლარი;
- ”ბე” 570 877 ლარი;

2. აუქციონის ტექნიკური პირობები:

- სს „საქართველოს რკინიგზის“ საკუთრებაში არსებული, არამუშა ფარეხის 467 ერთეული სხვადასხვა სახეობის სატვირთო ვაგონის ტექნიკური მახასიათებლები (აშენების წელი, მსახურების ვადა, გეგმიური შეკეთების ვადა, ტიპი, მოდელი, ტვირთამწეობა, ძარის მოცულობა) წარმოდგენილია დანართის 1 სახით.
- შეძენილი ქონება „მყიდველს“ გადაეცემა დანართი 1- ში მითითებულ სს „საქართველოს რკინიგზის“ სადგურებში, ვაგონების ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გაფორმებით.
- ვაგონების „მყიდველისთვის“ გადაცემა განხორციელდება ეტაპობრივად, „გამყიდველის“ მხრიდან, ვაგონის გადაცემის მზადყოფნის შესახებ შეტყობინებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- „მყიდველი“ ვალდებულია ვაგონების გადაცემის შესახებ „გამყიდველის“ შეტყობინების მიღებიდან, 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გამოცხადდეს შეტყობინებაში მითითებულ ადგილზე და ჩაიბაროს შეძენილი ქონება. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 180 კალენდარული დღის ვადაში კი სრულად გაიყვანოს შეძენილი ვაგონები სს „საქართველოს რკინიგზის“ ტერიტორიიდან და გაათავისუფლოს სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, ამ პერიოდის განმავლობაში „მყიდველი“ გაათავისუფლებულია საქართველოს რკინიგზის სატარიფო პოლიტიკით გათვალისწინებული დამატებითი მომსახურების საფასურების გადახდისაგან, ხოლო აღნიშნულ ვალდებულების მითითებულ ვადაში (180 კალენდარული დღე) შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველს“ დაეკისრება სს საქართველოს რკინიგზის „სატვირთო გადაზიდვების ტარიფები და დამატებითი საფასურებით“ გათვალისწინებული დამატებითი მომსახურების საფასურის გადახდა.
- მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდგომ „მყიდველის“ მოთხოვნის საფუძველზე, ვაგონების პირველად [ერთჯერად] ტრანსპორტირებას საქართველოს რკინიგზის ლიანდაგზე, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე, კერძო საკუთრებაში არსებულ მისასვლელ ლიანდაგზე, ასევე გამგზავნი და დანიშნულების სადგურების მომსახურების საფასურების გადახდას უზრუნველყოფს „მყიდველი“ საკუთარი ხარჯებით. მიღებული ვაგონების „მყიდველისათვის“ გადასაცემად წამოყვანის რიგითობას უზრუნველყოფს „გამყიდველი“ და ვაგონების შერჩევით გადაცემაზე „მყიდველს“ პრეტენზია არ ექნება.
- ვაგონები, რომლებიც თავიანთი ტექნიკური მდგომარეობის ან სარკინიგზო ინფრასტრუქტურის გაუმართაობის გამო არ ექვემდებარებიან ტრანსპორტირებას რკინიგზის ლიანდაგებზე, მათი გატანა მოხდება „მყიდველის“ მიერ მისივე ხარჯებით.
- ვაგონების დეტალებით დაკომპლექტების აუცილებლობის შემთხვევაში დეტალებით და მარაგნაწილებით მოწოდებას უზრუნველყოფს „მყიდველი“ თავისივე ხარჯებით.
- ვაგონების სხვა სარკინიგზო ადმინისტრაციების ტერიტორიაზე გადაადგილების საჭიროების შემთხვევაში, კურსირების საკითხის შეთანხმებაზე პასუხისმგებელია „მყიდველი“, სხვა

სარკინიგზო ადმინისტრაციების მიერ კურსირების პირობების შეუთანხმებლობა, არ წარმოადგენს შეძენილი ქონების „გამყიდველისათვის“ დაბრუნების მოთხოვნის წინაპირობას.

- სარეალიზაციო ვაგონები მატარებელში ჩასართავად საჭიროებს სატრანსპორტო მდგომარეობაში მოყვანას.
- „მყიდველის“ მოთხოვნის შემთხვევაში, გამყიდველი, ცალკე ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს თავისივე სარემონტო საწარმოებში ვაგონების შეკეთებას (ვაგონების სატრანსპორტო მდგომარეობაში მოყვანას).
- ვაგონების სარემონტოდ ყოფნის პერიოდი არ ჩაითვლება ვაგონების რკინიგზის ტერიტორიიდან გაყვანისათვის გათვალისწინებულ 180 დღიან ვადაში.

- ვაგონების რეალიზაცია განხორციელდება ვებ-გვერდზე www.eauction.ge. აუქციონი გაიმართება www.eauction.ge-ზე გამოქვეყნებული ხელშეკრულების შესაბამისად (თან ერთვის).
- ინტერნეტ-აუქციონში გამარჯვებულთან ფორმდება ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, იმ პირობების გათვალისწინებით რომლის შინაარსიც გამოქვეყნებულია ლოტის საინფორმაციო ველში (ხელშეკრულების სტანდარტული ფორმა თან ერთვის).
- ინტერნეტ აუქციონის მიმდინარეობის ვადა: ინტერნეტ აუქციონის დაწყებიდან 20 კალენდარული დღე;

განსაკუთრებული პირობები:

- ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდება აშშ დოლარში, აუქციონის ჩატარების დღისთვის არსებული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ (ლარი/აშშ დოლარი) დადგენილი, გაცვლითი კურსის შესაბამისად.
- ნასყიდობის ფასის „გამყიდველს“ აუნაზღაურდება საავანსო ანგარიშსწორების წესით.
- ნასყიდობის ხელშეკრულების (თანდართული პროექტის არსებითი პირობების გათვალისწინებით) გაფორმების ვადა: აუქციონის დასრულებიდან - 10 კალენდარული დღის ვადაში;
- ხელშეკრულების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმების ხარჯებს ფარავს აუქციონში გამარჯვებული.
- შეძენილი ქონების საფასურის (აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო ფასი, გადახდილი „ბე“-ს გამოკლებით) გადახდის ვადა: ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 20 კალენდარული დღე;

საბანკო რეკვიზიტები:

შეძენილი ქონების დარჩენილი ღირებულება (აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო ფასი, გადახდილი „ბე“-ს გამოკლებით) უნდა ჩაირიცხოს სს „საქართველოს რკინიგზის“ შემდეგ ანგარიშსწორების ანგარიშზე:

სს „საქართველოს რკინიგზის“ საბანკო რეკვიზიტები:

ეროვნულ ვალუტაში - ს/ს „თი ბი სი“ ბანკი მარჯანიშვილის ფილიალი, ბანკის კოდი 220101850; საიდენტიფიკაციო კოდი №202886010 ანგარიშის ნომერი ა/ა №59136020100001, ეროვნულ ვალუტაში.

აშშ დოლარში: Intermediary Bank: CITIBANK N.A. NEW-YORK, USA, SWIFT: CITIUS33, ABA: 021000089

Beneficiarys bank : HEAD OFFICE SWIFT: TBCBGE22;

JSC”TBC BANK ” , Marjanishvili Branch; SWIFT: TBCBGE22850

Name of beneficiary: JSC”GEORGIAN RAILWAY”

Bens account: GE11TB1100000112070112.

სარეალიზაციო ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სს „საქართველოს რკინიგზაში“

მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. N15.

ტექნიკურ საკითხებზე -(+995) 591 19 03 03 Alexsi.Kopeli@railway.ge

ფინანსურ საკითხებზე: - (+ 995) 577 62 11 75. Tamuna.Tabatadze@railway.ge

იურიდიულ საკითხებზე - (+995) 591 19 91 90. Nino.Abelishvili@railway.ge

ვაგონების ტექნიკურ მდგომარეობაზე - (+995) 591 19 93 88. Zaza. Paturashvili@railway.ge

ვაგონების გადაზიდვასთან დაკავშირებულ საკითხებზე - (+ 995) 591 98 89. Omar. Gulbani@railway.ge

აუქციონის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე (+995) 32 2 601 601